ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N7

ქ. ლანჩხუთი

19.12.2018 წ

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

კომისიის წევრები: ოთარ პატიეშვილი, კახა თედორაძე, იოსებ ჩხაიძე, ამირან ქანთარია, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე, ბესიკ კუპრაძე, რეზო კვაჭაძე, ემზარ თევდორაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლელა ჩახვაძე, აკაკი იმნაიშვილი, ელისო ჭიჭინაძე, ირაკლი მარშანიშვილი, კახა ბოლქვაძე, ცისანა ურუშაძე.

მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ იმედაიშვილი.**

კომისიის თავმდჯომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.გვარჯალაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.გვარჯალაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

/მომხსენებელი: გ.გვარჯალაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.გვარჯალაძე/

5. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.გვარჯალაძე/

6. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 10; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **თამაზ იმედაიშვილმა.** აღნიშნა, რომ 2019 -2022 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;

2. განათლება;

3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

5. დასუფთავება და გარემოს დაცვა.

აქვე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ დაზუსტებული არ არის 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალი ამიტომ ამ მხრივ პრიორიტეტების დოკუმენტში მხოლოდ ზოგადადაა წარმოდგენილი. ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალის დაზუსტება ჩემი ინფორმაციით მოხდება მიმდინარე თვის ბოლომდე.

კომისიის წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** გამოთქვა შემდეგი შენიშვნები: არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სოფლების 24 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხები; გახშირდა წყალმოვარდნები, რომელიც გამოწვეულია სანიაღვრე არხების კალაპოტების მოშლით ამიტომ გასათვალისწინებელია სამელიორაციო შემკრები არხების გასუფთავების სამუშაოებთან დაკავშირებული დაფინანსების საკითხი; აუცილებელია პრიორიტეტებში გავითვალისწინრბული იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განსაკუთრებით ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა, აღნიშნული ძვირადღირებული ღონისძიება და საჭიროა დახმარება აღმოგვიჩინოს შესაბამისმა სამინისტრომ; შემცირებულია მზრუნველობამოკლებული ოჯახებისათვის შემწეობის თანხები; არ არის გათვალისწინებული საკანალიზაციო სისტემის მოწყობის საკითხები.

კომისიის წევრმა **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ 44-ათასი ლარი არის მიზერული თანხა და ნამდვილად არ ეყოფა სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას 16 ადმინისტრაციულ ერთეულში; პრიორიტეტებში არ არის შიდა გზების ორმოვანი შეკეთების სამუშაოები.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძე** სამწუხაროდ არ მოხერხდა ამ ეტაპზე სპეცტექნიკის შეძენისათვის თანხების გამოყოფა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმდჯომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს; მომხრე:8, თავი შეიკავა: ერთმა (ზაზა წულაძე), წინააღმდეგი: ერთი (იოსებ ჩხაიძე).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **თამაზ იმედაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლების მობილიზაციის საკითხი და წინა ორი წლის ფაქტობრივი მდგომარეობა. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 9 404 800 ლარით. ამათგან გადასახადები შეადგენს 8 280 800 ლარს, გრანტები 220 000 ლარს, ხოლო სხვა შემოსავლები შეადგენს 904 000 ლარს,წინა წლებისაგან განსხვავებით 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლებში არ აისახება საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. ასევე გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და მის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტებში მიიმართება დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 6 980 800ლარს აღნიშნული ცვლილებები მიღებულია ქვეყნის პარლამენტის მიერ. ქონების გადასახადი რომელიც ასი პროცენტით შევა ადგილობრივ ბიუჯეტში, შეადგენს 1 300 000 ლარს. 220 000 ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სხვა შემოსავლები შეადგენს 904 000ლარს. მათგან 700 000ლარი შეადგენს შემოსავლებს ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან.როგორც აღვნიშნე პირველი საკითხის განხილვისას ამ ეტაპისთვის ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების დადგენილი არ არის, მათი დადგენის შემდეგ ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული იქნება კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ბუნებრივია როცა ასე შეზღუდულები ვართ შემოსავლების მხრივ, შეზღუდულები ვართ ხარჯების მხრივ. თუმცა ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ა.(ა).ი.პ.-ების დაფინანსების შენარჩუნება ძირითადად 2018 წლის დონეზე, მცირე მატების ფონზე, რომლის თაობაზეც ინფორმირებულია საკრებულოს წევრები.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს; მომხრე:8, თავი შეიკავა ერთმა (ზაზა წულაძემ), წინააღმდეგი: ერთი (იოსებ ჩხაიძე).

3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე: კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმა“ .

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. მომხრე:10 წინააღმდეგი არცერთი.

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს; მომხრე:10 წინააღმდეგი არცერთი.

5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ.**

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს; მომხრე:10 წინააღმდეგი არცერთი.

6. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩიბათში მცხოვრებ მარინა კოტრიკაძის 13 დეკემბრის N446 განცხადება, რომელიც ეხება მისი საცხოვრებელი სახლის კედელის და ჭერის სტიქიით დაზიანებას, აღნიშნული განცხადება გადაეგზავნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოშვილში მცხოვრებ დავით გოგუაძის 13 დეკემბრის N448 განცხადება, რომელიც ეხება საცხოვრებელ სახლთან მეწყერული მოვლენების განვითარებას, აღნიშნული განცხადება გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურს.

საკრებულო წევრმა **კახა თედორაძემ** განაცხადა,რომ დაზიანებულია შრომა ომფარეთის დამაკავშირებელი შიდა გზა, წარმოქნილია დაახლოებით 30 მეტრიანი ხრამი და გთხოვთ მივაქციოთ ყურადღება; სოფ. წყალწმინდაში მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: _____ გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N7

ქ.ლანჩხუთი 19.12.2018წ.

2018 წლის 19 დეკემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

6. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება დამტკიცდეს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმა" წარმოდგენილი სახით გადაეცეს ლაჩხუთის მუნიციპალიტეის საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილეველად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

სარეგისტრაციო ფურცელი

19.12.2018 წ.

	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	15:40
2.	ცისანა ურუშაძე	არ ესწრებოდა
3.	კახა ბოლქვაძე	არ ესწრებოდა
4.	ბესიკ კუპრაძე	15-45
5.	ოთარ პატიეშვილი	16.00
6.	სპარტაკ კვაჭაძე	16-00
7.	ლელა ჩახვაძე	არ ესწრებოდა
8.	ზაზა წულაძე	15-50
9.	რეზო კვაჭაძე	16-00
10.	კახა თედორაძე	15-45
11.	იოსებ ჩხაიძე	15-50
12.	ამირან ქანთარია	16-00
13.	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა
14.	ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრებოდა
15.	ირაკლი მარშანიშვილი	არ ესწრებოდა
16.	ემზარ თევდორაძე	15.55.